ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #29

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. **საჩხერე** **23 მაისი 2023 წელი**

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი”** (შემდგომში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის **მარიამ გოგიბერიშვილი** სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,ერთიგონი“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბესარიონ მოსეშვილი** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.შესყიდვის ობიექტი

3.1 შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის დანაყოფის CPV-**72200000** კოდით გათვალისწინებული მომსახურებები, კერძოდ:
საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის 2023 წლის ვერსია.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3540,00** (სამიათასხუთასორმოცი) ლარს.
4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება,
ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.ხარისხი და გარანტია

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. მხარეების უფლებები და მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
6.1.1 პერიოდულად შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;
6.2.2 უზრუნველყოს მომსახურების შესრულების კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
6.2.3 ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის პირობებში მიმწოდებელს აუნაზღაუროს არაუმეტეს 3540 (სამიათასხუთასორმოცი) ლარი;
6.2.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებულ მომსახურების შესრულების კონტროლის პროცესში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება უზრუნველყოს არაუმეტეს 3540 (სამიათასხუთასორმოცი) ლარად;
6.4.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
6.4.3 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა შესრულებული მომსახურების შესახებ;
6.4.4 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.
7.2 ხელშეკულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორი.
7.3 კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.
7.4 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება: ა) **პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა ხელშეკრულების დადებიდან (10) ათი სამუშაო დღის ვადაში ბ) ტექნიკური დახმარება საჭიროების შემთხვევაში 2023 წლის განმავლობაში.**
8.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია **ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ.#3.**

9.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.
9.2 შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს **ა(ა)იპ „საჩხერის გაერთიანებული ბაღ"-ის მთავარი ბუღალტერი დარეჯან მაკასარაშვილი და მთავარი სპეციალისტი შესყიდვების დარგში თეა ცაბაძე.**

9.3 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

10.ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა_ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა_უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
10.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის და სხვა სათანადო საბუთების (ანგარიშ ფაქტურა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში .

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

12.მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
12.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
12.4 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
12.5 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
12.6 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
12.7 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02 - პროცენტის ოდენობით.
12.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.9 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
12.10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფატიურად შესრულებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.
13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

17. ფორს-მაჟორი

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა დადაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
17.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

18. სხვა დებულებები

18.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
18.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
18.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
18.6 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვისას ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს და არ იმყოფებიან მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

19.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: ა(ა)იპ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი" მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#3 ს/კ 239396346 ტელ: 599 11 57 51 ელ.ფოსტა : mariam_g_g@yahoo.com	მიმწოდებელი: შპს ,,ერთიგონი" მისამართი: ქ. თბილისი, ზაქარაიას ქ. # 34 საბანკო რეკვიზიტები: ა/ა GE93TB1143936020100002 სს ,,თიბისი ბანკი", კოდი: TBCBG22 სნ _ 200248384 ტელეფონი: 577 07-07-11 ელ.ფოსტა : ertigoniltd@gmail.com
_____	_____
მარიამ გოგიბერიშვილი ა(ა)იპ : „საჩხერის გაერთიანებული ბაღის' -ის დირექტორი	ბესარიონ მოსეშვილი შპს ,,ერთიგონი"-ს დირექტორი

SACHKHERE UNITED KINDERGARTEN

Digitally signed by SACHKHERE UNITED KINDERGARTEN
Date: 2023.05.23 17:01:29 +04'00'